



# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია: საგანგებო სესია

მს სხდომა დაგეგმილი არ ყოფილა. მისი მოწყობის თაობაზე წინა დღეს მიღებული გადაწყვეტილება გამოწვეული იყო მოვლენით, რომელმაც მთელი საქართველო შეაშფოთა — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებით „საქართველოს სს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის გამო“.

ამ საგანგებო სხდომის განხილვის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ გააკეთა განცხადება იმ ცნობების თაობაზე, რომლებიც გადასცა ცენტრალურმა ტელევიზიამ „ერემიას“ და ახალი ამბების სატელევიზიო სამსახურის პროგრამებში იმის შესახებ, თითქოს სსრ კავშირის პრეზიდენტი და საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა შეთანხმებულიყვნენ ქართული მილიციის ქვედანაყოფების გამოყენების თაობაზე სამაჩაბლოდან, სადაც შემოღებულია საგანგებო მდგომარეობა და მოქმედებს კომუნდანტის საათი. ეს ცნობები ბაჩოშვილი ზვიად გამსახურდიამ მკაცრად უარყო და აშკარა გასწავლია, რომ ეს ცნობები არაა სწორი და არაა დაფუძნებული რეალურ ფაქტებზე.

მისი და ისინი დარჩებიან რეგიონში, ხანამ იქ ჯერო. წესრიგი არ დაბრუნდება და ექსტრემისტებს არ განაჩინდება. ამ მიზნით განზრახულია შეიქმნას მილიციის ხელშეწყობის შტაბები.

შემდეგ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ დეტალურად წარუდგინა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების პროექტი სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ. პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს დეტალურად აპოლონ სილაგაძემ, თეიმურაზ ქორიძემ, ამირან კალაძემ, ნოდარ ნათაძემ, ავთანდილ მარგინამ, ნათელა ქუთელიამ, ლევან ტუხაშვილმა, ალექსანდრე ვარძელაშვილმა, დავით კუპრეიშვილმა, ზურაბ წიქრიძემ, აკაკი ბობოხიძემ, ანდრია ავაქიძემ, მანანა ძოძუაშვილმა, ლევან ალექსიძემ, გურამ პეტრიაშვილმა, ირინე ტალიაშვილმა, ანზორ საკანდელიძემ, ბიძინა გორგოლიანმა, ვახტანგ ცაგარეიშვილმა, ვიქტორ ლომოვსკიმ, ზაზა კახიანიამ, ალექსანდრე ქობულაშვილმა, ბიშუქა აფრასიძემ, დავით არევაძემ, რაიონ ბერძენიშვილმა, თედო პაპაშვილმა, თედო ჩინიძემ და სხვებმა. სესიაზე გამოვიდნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები პარმენ შარვაშია-

შვილი და შალვა კვანაცია.

სხდომაზე განცხადებით და წინადადებები გააკეთეს დეპუტატმა ბიშუქა აფრასიძემ, ყუყუნა აბლაკამა, წარმომადგენელმა ქალთა ჯგუფისა, რომელმაც შემოიღოთ გამოაცხადა სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, დეპუტატებმა შოთა გაფრინდამ, ვილმა, გაა ხავთასმა და ვალტერ შურღიაძემ.

უზენაესი საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ, რომლითაც ცნო იგი როგორც ანტიკონსტიტუციური, საქართველოს რესპუბლიკის საზიარო საქმეებში უზენაესი საბჭოს მიერ ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა რესპუბლიკისა და მისი ხალხის სუვერენულ უფლებათა უფლებდებულება.

უზენაესი საბჭოს წინადადებით სესიის ოქმსწრე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებმა განაცხადეს, რომ მათ არიან გააცნონ ამჟამად მოსკოვში მიმდინარე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის საქართველოს რესპუბლიკის, მისი ხალხის პოლიტიკური ინტერესების მიხედვით, რომ შილაგაძის მათი სუვერენული უფლებები.

სს „საქართველო“

## სამაჩაბლოს მოვლენების შემო

### კარგად ვიცით, ვინ ამღვრევს წყალს

სამაჩაბლო რაიონში მუდამ აღძრავდა ჩემი საქართველოს ერთერთი დეპუტატი, თანაც ტყვეობაში კეთილის ასოციაციის ვიცოდი, რომ წინაპარა ამ ძირ ძველ მიწაზე განვცხადებ ნებით, ერთმანეთის გვერდზე ვერც კვლავ ცხოვრობდნენ ჩვენი მოძვე ტომები — ოსები. ისიც ცნობილი იყო, რომ ცალკეული გამოწვევის ხარჯად ჩვენ ორ ხალხს შორის ურთიერთ გაგება და პატივისცემა სუფევდა. ისტორიული ანალები აქა-იქ მძაფრ, კოლინიურ მომენტებსაც აფიქსირებდნენ, მაგრამ ამისთანა გაუგებრობები ოჯახშიც იჩენს ხოლმე თავს. რა ვქნათ, ხალხი ვართ, ცხოვრებაც არ არის ყოველთვის სწორხაზოვანი. მთავარი ისაა, რომ ერებს შორის ურთიერთობაში არ დამოკიდებული ვართ მარცხად, არ იბატონოს ღვარძლმა და მტრობამ.

ოსეთი—ეს იყო ისტორიული სამაჩაბლო, სადაც ქართული და ოსური ეთნოსი ავსებდა, ალამაზებდა ერთმანეთს. ჩემი თაობა თითქმის ისე გაიზარდა, რომ ამ ხალხთან შეუპოვებლობის კომპლექსი არ განუცდია. პარიკით, გვიყვარდა კოსტა ხეთაგურის ამალღებული პოეზია. ცხინვალის თეატრში დადგმული ქართული პიესების სანახადაც ავსულვართ, როცა იქ ჩვენი მეგობარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე იყო მაცხოვრებელი მუხომბა მთავარ რეჟისორად. ამ

ქალაქში შესანიშნავ გაზეთს უშვებდა ჩვენი უფროსი კოლეგა შიო ღარცულაძე.

გუშინდელ დღესავით მახსოვს ზუგდიდში გამართული შემოქმედებითი საღამო, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობდა მშვენიერი ოსი ლირიკოსი რევაზ ვსაგვი. იგი საოცარი ადამიანური სითბოთი მოგვეფერა ოდიშელებს. ჩემს ყმაწვილკაცობაში უზომო ინტერესით შევცქეროდი მხატვრულ ფილმს „ფატიმას“, ვიხიბლებოდი ოსი ვეჟაკების რაინდული სულით. არ შემიძლია არ გავიხსენო სასკოლო ოლიმპიადები. მეორე სკოლის რეპერტუარში სხვა ნომრებთან ერთად ბრწყინავდა ცეკვა „სიმდი“, სავსე ელვანტურით, ღირსების გრძნობით. ეს წლები კეთილ მოგონებად რჩება ჩემი თაობის ხსოვნაში. ფიქრობ რა ამ „ოსურ შთაბეჭდილებებზე“, საკუთარ თავს ვმძიბობ: რა მოხდა, სად ვქარა მათთვის დამახასიათებელი ეს ღირსება? და პასუხიც იქვე ინახვება. არსადაც არ გამქრალა. ქართველმა ხალხმა ყველაფერი იცის. იცის, რომ ეს ღირსება ოსი ხალხისთვის არაა, არაა და დასაძინებია. ოღონდ ეგ არის. ამ საშინელმა ათწლეულებმა, უსახტოებსა საბჭოურმა იმპერიამ დაუპირისპირა ერთმანეთს პატარა ერები. იმპერიულ ძალებს დღესაც აწყობთ „დაპყვე და იბატონეს“ ფილოსოფიურ წაბეჭდული ხა-

### მეუაფურეთა გულისკომა

ქართული ფაფურის მეუბნებოდა დიდი გულისწყრომა და შეშფოთება გამოიწვია საქართველოს რესპუბლიკის მიერ მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის გამო სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებით 7 იანვრის ბრძანებულებით.

ჩვენი ქვეყნის შინაურ საქმეში ჩარევის უფლებას, ითქვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის მიმდინარეობის დღეს აქ გამართულ სახელდასხელო მიტინგზე, არავის არ მივცემთ. არავითარ ძალას არ შეუძლია შეაჩეროს საქართველოს მშრომელთა ღვაწლი და მოუკიდებლობისა.

—ჩვენ კარგად გვესმის, — განაცხადა მიტინგზე, ფერმწერმა ნაზი ქანთარია, რადენ დიდი ძალებს წინააღმდეგ გვიხდები დაპირისპირება, მაგრამ სიმძლეები არ გვაშინებს, დათმობა და უკან დახევა არ იქნება.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ცილა კვაჩარაძე, ნინო კინიპიშვილი და სხვები.

### „ულოცავენ“ პრეზიდენტს

როცა ნორვეგიაში ტარდებოდა ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიალი, მ. ს. გორბაჩოვის სხვადასხვა სახის მილოცვები მიუვიდა, ერთ-ერთია ეროვნულ-დემოკრატიული პარტია—მე-4 დასის ზუგდიდის კომიტეტის დეპუტატი, რომლის ტექსტსაც მკითხველებს ვთავაზობთ.

„ულოცავთ ადამიანის უფლებებისათვის შეუპოვარ მებრძოლს ბ.ნ. მ. ს. გორბაჩოვის მშვიდობის ნობელის პრემიის მინიჭებას. ვულოცავთ მას უდიდეს და ერთადერთს, რომელიც დადგა ეროვნულ-თავისუფლების ურთიერთობის პრობლემების გადაწყვეტაზე და ამით არჩვეულებრივ მამაცობა გამოავლინა. გუსურებო ნორვეგიის მშვიდ-

ობის კომიტეტს, შემდგომშიც ახე გულდასმით ამოერჩიოს „დამსახურებული“ დიქტატორები უღანაშაულო სისხლისღვრისა და ეროვნულ-თავისუფლების კონფლიქტების განაღებისათვის.

სანამ მიმდინარეობს კიდევ ერთი ეთნოკონფლიქტური რეგიონის „მშვიდობიანად“ მოგვარების პროცესი, ნორვეგიის მშვიდობის კომიტეტმა თავის დედაქალაქში შეიძლება მოისმინოს ბ.ნ. მ. ს. გორბაჩოვის ლექცია საბჭოთა სამხედრო მმართველობისათვის საყვარელ თემზე:

«Нам нужен Мир, таклько весь». ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მე-4 დასის ზუგდიდის კომიტეტი

სიტყვა მალევა

კასუნი დ. ჩარბაზიას წერილზე „პრის არჩევანი“

ამ წერილზე მასუხის გაცემის არ დავაპირებდი, რომ არა ის საშინო ტენდენცია ერის სახელით სპეკულაციისა, რაც წერილში იკვეთება.

დაიხ, ბატონო დათო, სრულ წესმარტებებს წარმოადგენს ის, რომ ეროვნული კონგრესის არჩევნებში პროცენტულად ნაკლებმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა, ვიდრე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებში. მაგრამ ამას თავისი ობიექტური მიზეზებიც გააჩნია.

მასების პოლიტიკურ გათვითცნობიერებას და ორიენტაციას თავი რომ დავანებოთ, მართო ეროვნული კონგრესის არჩევნების დღე—30 სექტემბერი გაიხსენებო... როგორ ანტიავტორიტარული კონგრესის არჩევნებში ვერცხლდებოდა. ეს მაშინ, როდესაც არჩევნების ჩატარების დღეს წინაშე იატაკი კანონით იკრძალება (თუ ფაქტების დაზუსტებას მომთხოვთ, შემოდეთ გარეშე დაგისახელოთ იმ ავტორიტარებისა). და ამაში ზეგადასარჩევანი გამოხატვისი არ ყოფილა.

რაც შეეხება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების „ტრიუმიფი“ ჩატარებას, იცოდეთ, რომ ამ არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის მოწოდებული იყო იმპერიული აპარატიც, რადგან საქართველო წარმოადგენდა იმ ერთადერთ რესპუბლიკას, რომელიც დაარსებით იყო არჩევანისა და „ეროვნული პარლამენტის“ გარეშე. როდესაც ეს საკითხი წარმატებით გადაიჭრა, სსრკ-ს „დემოკრატიული“ გარდაქმნაც დასრულდა. ამა გაიხსენოთ სსრკ-ს დეპუტატთა მე-4 ყრილობაზე ერთ-ერთი დეპუტატის ხმადასმული განცხადება პრეზიდენტის მთავარი დამსახურების შესახებ: ერთი წლის წინათ როგორი უზენაესი საბჭოები ფუნქციონირებდნენ მოკავშირე რესპუბლიკებში, დღეს კი როგორი ეროვნული ხელისუფლება ჰყავთო.

თქვენ კონგრესის წარმატებლობის მიზეზს ეძებთ იმაში, რომ კონგრესის ადვოკატებმა ვითომ ვერ შეძლეს განემარტათ კონგრესის ფუნქცია. დათო ბატონო, მე არ მინდა ექვე შევიტანო თქვენს ობიექტურობაში, მაგრამ როცა ასეთ განცხადებას აკეთებთ, ამის საფუძველზე უნდა გაგაჩნდეთ არ ვიცო, პირადად თქვენთვის ვის უნდა განემარტა ეს ფუნქცი-

ები, მაგრამ იდეები და მიზანი ეროვნული კონგრესისა ფართოდ იყო გაშუქებული პრესის ფურცლებზეც და ტელევიზიით გამოცემებშიც, სადაც იმთავითვე იყო ნათქვამი, რომ ეროვნული კონგრესი უნდა იყოს საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი, შავიორდინირებული ორგანო, რომ იგი უნდა გახდეს საქართველოს რესპუბლიკის (1918-1921 წ) სამართლებრივი წარმომადგენლობა, დაცვადა იურიდიულად დღესაც არსებული საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს და პრეტენზიას არ ატყაბდებდა ხელისუფლებაზე, ვიდრე საქართველო დამოუკიდებელი არ გახდებოდა. შემდეგ კი თავისუფალი საქართველოს ხელისუფლების არჩევნებში ცხადია აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა. ასე რომ, შიში ორბელისუფლებიანობისადმი უსაფუძვლო იყო.

რაც შეეხება თქვენი წერილის იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია კონგრესის ადვოკატების მიერ ეროვნული მოძრაობის თავდაცვის ლაინდაზე. მე თქვენს ადგილას თავს შევიკავებდი ამ საკითხის ცალმხრივი გაშუქებისაგან. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თქვენ თვითონვე წერთ: „ძალიან მკაცრულად განვიცადე მე პირადად ის, რომ მან (რ. გამსახურდიამ. დ. ა.) 9 აპრილის წლის სთავისადმი მიმდინარე ერთ-ერთ სტატიაში პირდაპირ პროვოკატორი და სუვის აგენტი უწოდა საქართველოს აღსრულებულ ცნობილ დისიდენტს“. ასე რომ, ვერ კიდევ გასარკვევია, საიდან და ვისგან მოდის ქართველი ინტელიგენციისა და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებისადმი „მოდალატისა“ და „სუვის აგენტის“ იარაღის მიკრება.

შემდეგ თქვენ ზრალს დებთ ეროვნულ კონგრესს იმაში, რომ მან ვერ აპარა ზვიად გამსახურდიას და ქართველ ხალხს უზენაესი საბჭოს არჩევნებში „მრგვალი მაგიდის“ გამარჯვება. კი მაგრამ, საიდანაც აკეთებთ ასეთ აღმოჩენას, ამასაც ხომ უნდა გააჩნდეს საფუძველი, ხომ უნდა მოიყვანოთ რაღაც ფაქტები. ფაქტები კი იმაზე მეტყველებენ, რომ ეროვნულ კონგრესს „მრგვალი მაგიდის“ წევრებისათვის თუ

არ მიუღოთა გამოკვება „სუვის“ ნებში, იმის გაცხადება მიიხსილათ, რომ მხად იყო ეთაბამ-რომლა ახლადარჩეულ უზენაეს საბჭოსთან, თუ კი ის მოწოდებული იქნებოდა ეკეთებინა ეროვნული საქმე.

კერძოდ: უზენაეს საბჭოს უნდა ეღიარებინა, რომ ის არის შეზღუდული უფლებების მქონე თვითმმართველობის ორგანო. თუბაიისა და ანექსიის პირობებში. თქვენ შეიძლება შემომედოთ, რატომ შეზღუდული უფლებების მქონეო. იმიტომ რომ, როცა „ეროვნული პარლამენტის“ თავმჯდომარე სახალხო აკეთებს იმის განცხადებას, რომ მას არ ძალუხს წინ აღუდგეს რუსის ჯარებს და შეაჩეროს საკომუნდენტო საათის მოქმედება რესპუბლიკაში, თუნდაც ამიტომ და კიდევ ბევრი მიზეზის გამო, რაზეც საუბარი შორს წავიყვანს, უზენაეს საბჭოს უნდა განესაზღვრა დღევანდელი საქართველოს რეალური სტატუსი. (ის რაც „კონსტიტუციის“ პრეამბულაშია, არც დადგენილება და არც კონსტიტუციის კანონის მუხლი), უნდა განესაზღვრა საბჭოთა ჯარებისათვის საოკუპაციო ჯარების სტატუსი. მართო ის როლი კმარა, მაღალი ტრიბუნლიდან ამ ჯარებს ვუწოდოთ „უცხო ქვეყნის ჯარები“. სხვათაშორის, უცხო ქვეყნის ჯარები დგას საფრანგეთში, თურქეთში და გერმანიაში, მაგრამ ეს ჯარები „ნატოს“ ჯარებია და ამა თუ იმ ქვეყნის შინაურ საქმეებში არ ერევიან. საქართველოში დგას საოკუპაციო ჯარები და ამ ჯარის გაყვანის საკითხი უნდა დაისვას დღესვე, ვადაც უნდა მივიყვანო. ასე რომ, „გარდაიშავალი პერიოდის“ დამთავრებისათვის ჯარები გაყვანილი უნდა იყოს, სხვათაშორის დამოუკიდებელნი ვერ ვიქნებით. ეს ანაწერი ქვემარტებაა.

სამაგიეროდ რა გაეთდა? უზენაესი საბჭოს პირველხვევ სესიაზე საქართველოს სსრ კონსტიტუციაში შეიტანეს ცვლილებები, სადაც დადგინდა, რომ საქართველო ამიერიდან არის რესპუბლიკა და ამ რესპუბლიკის კონსტიტუციაში ერთ-ერთი მუხლი იკითხება ასე: „საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და სსრკ-ს

კონსტიტუცია.

რა არის ეს? ჩვენ გუშინ ყველანი ერთად ქუჩებში, მიტინგებზე გავიძახოდით იმას, რომ საბჭოთა კონსტიტუციის მოქმედება საქართველოში უკანონოა, რომ საქართველო ანექსირებულია, ოკუპირებულიაო. დღეს რა შეიცვალა? ის რომ კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა სსრ? თუ რესპუბლიკა, მაშინ ამ რესპუბლიკის „ეროვნული პარლამენტი“ ნუ აკანონებს უცხო ქვეყნის კონსტიტუციის მოქმედებას თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე.

რაც შეეხება საოკუპაციო ჯარებისათვის სტატუსის განსაზღვრას, საუბედუროდ ამ ჯარებს არსებობაც საქართველოს ტერიტორიაზე დაკანონებულ იქნა იმ დადგენილებით, რომელიც ეხება საჯანგებო და საკომუნდენტო წესების შემოღებას. ასე რომ, კონგრესი კი არ ცდილობს გამოჩხრიკოს (როგორც თქვენ წერთ) ერის ლალატი, ან მძიმე პოლიტიკური შეცდომა, არამედ მიუთითოს შეცდომებზე და ეს მისაღება უნდა იყოს როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის.

მინდა კიდევ ერთ საკითხს შეგებო, რაზედაც, მართალია, თქვენს წერილში არ არის ნათქვამი, მაგრამ ეროვნულ კონგრესს თავისი შეზღუდულობა აქვს ამასთან დაკავშირებით. ეს არის ე. წ. სამხრეთ ოსეთში შექმნილი საჯანგებო მდგომარეობა და აფხაზეთის საკითხი.

სხვა მეორე აზრი იმის შესახებ, რომ უნდა გაუქმდეს ყველა ე. წ. ავტონომიები, არ არსებობს. მაგრამ როცა სიტუაციის შენ ვერ მართავ, როცა დამოკიდებული ხარ სხვა ძალაზე, როცა ერთი დაკავებული ტერიტორიის ნაცვლად რამდენიმე ქართველი აყავთ მიეცულად, მეტწილად, რომ სანუგეშო ძალიან ცოტაა.

სულ სხვა სიტუაციაა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, რაზედაც რესპუბლიკის ხელისუფლები სულმან. თქვენ იცით, რომ ამ რამდენიმე კვირის წინ შედგა აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მორიგი სესია, რომელსაც ესწრებოდნენ ქართველი დეპუტატები და „მრგვალი მაგიდის“ წევრები. სესიამ გარდა იმისა, რომ მაღლობა მოახსენა

ოზგას გაწვევით, ცხელი (ალბათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი) გულგებობისათვის?), მიიღო მთელი ოცი ცვლილებები აფხაზეთის ასსრ-ს კონსტიტუციაში. მე მინდა ზოგიერთ მათგანზე შევაჩერო თქვენი ყურადღება. აფხაზეთის ასსრ-ს კონსტიტუციის ძირითადი კანონის თანახმად, აფხაზეთის ასსრ-ს ტერიტორიაზე ჩერდება ყველა ის აქტი-სსრ კავშირისა და საქართველოს რესპუბლიკისა, რომელიც ეწინააღმდეგება აფხაზეთის ასსრ-ს კონსტიტუციას. ფაქტურად აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოცხადდა აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოს უზენაესობა. აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული წყალო, ხე-ტყე, წილ ისეული და ა. შ. ყველაფერი გამოცხადებულია აფხაზეთის ასსრ-ს კუთვნილებად. და კიდევ, საქართველოს შემთხვევაში აფხაზეთის უზენაესი საბჭო უფლებამოსილია აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოაცხადოს ხაგანგებო მდგომარეობა და საკომუნდენტო საათი. აი, რაშია საქმე, ბატონო დათო. და თუ ასე წავიდა საქმე, ძალიან გავიჭირდება საქართველოს მთლიანობის შენარჩუნება.

როგორც აღვნიშნე, ყოველივე ამის შესახებ არსებული ხელისუფლება დღეს, თუ შეხსიერება არ მოლატობს, აფხაზეთის ასსრ-ს სესიის მუშაობაზე და კონსტიტუციაში შეტანილ, ცვლილებებზე ქართულ პრესაში მასალები არ გამოქვეყნებულა.

რაც შეეხება ერის არჩევანს, მე არა მერია, რომ ერმა თავისი არჩევანი გააკეთოს იმისათვის, რომ ეინმეს ბრძალ მიანდოს თავისი ბედ-იბდალი ან იმისთვის კი არ გაუკეთებია ხალხს არჩევანი, რომ თავს მოახვიონ კონკრეტული პიროვნებების თუ პარტიების დიქტატი. ხალხი თვითონ უნდა დარწმუნდეს ამა თუ იმ ძალების უწმარტობაში. ამიტომ ხალხს უნდა მიეცეთ იმის საშუალება, რომ გაარკვიოს, ვინ რას აკეთებს ერის სასიკეთოდ. ამას კი დრო სჭირდება.

დღეს დალა კი არ უნდა შეგვეტყოს ქართველ ერს, არამედ დღეს მართებს თითოეული ნაბიჯის ზუსტი გაანალიზება, უზენაესი საბჭოს იქნება ეს თუ ერ ოვნული კონგრესის.

დავუპ ანთია, ეროვნული კონგრესის წევრი, ილია ქავჭავაძის საზოგადოების დარბაზის წევრი. 3 იანვარი 1921 წ.

—ამ სიტყვებით მიმართა ვაჟი ფშაველამ აკაკი წერეთელს, რომლის გული სამშობლოსთვის ძვირდა. „შემოქმედება კი ზნობრივ მაგალითს აღწევდა თანამედროვეთ. აკაკი და საქართველო ისეთი ბუნებრივი და კანონზომიერი ცნებებია, როგორც თვით სიცოცხლე. როგორც პაერი და წყალი. იშვიათად თუ რაგებია ვინმეს ხალხს ისეთი იდოაობა და სიყვარული, როგორც წილად ხვდა სიცოცხლეშივე ლევენად ქვეულ აკაკის, ყოველი მისი სტრიქონი, ყოველი ხაზი სიტყვა გულში ხვდებოდა ქართველს. მისში პოელობა და სტლიერ საზრდოს, გამახსენებელ ძალას, და ცხოვრების ყველაზე ძველ წერებში მას მიმართადა. როგორ გაფრთხილებად

„საგუბლოს სამსახურისთვის ჩანბი ბიკურთხოს ზენაეა“

ელერს დღეს ჩვენი დიდი წინაპრის ბრძნული შვილია: „ღმთის მაღლსა, რა დროს ეგ არის, მძამაზე ლესავს ხანჯალსა...“ აკაკი სიტყვითა და საქმით იყო ერთობის, ძმობის, მეგობრობის მეზობე და შოამთავლობის უანდერძა ამ წმინდა გრძნობების ერთგულება.

აკაკი პოეზიას ზნობრივად დიდ მოვალეობას აკისრებდა, თავად კი ჩვეული უბრალოებით და სისადავით ზრძანდებო: „შუა კაცო ვარ უბრალო, ხან მიწისა ვარ, ხან ცისაო“. ამით მშობლი-

ურ ერს, რომლის სამსახურიც უზენაეს მოვალეობად მიაჩნდა, კვლავ და კვლავ ეფიციბოდა ერთგულებას, სიყვარულს, ღაზარო სამსახურს.

დღეს დიდი პოეტის შოამთავლებს თავისუფლებისაკენ მიმავალ ძნელ გზაზე მანათობელ შუქურად მიჰყვებოთ უკვლევი სტრიქონები კაცისა, რომელიც სულ ენის ნატვრაში იყო, რომ „უნეტან-დარეგან ქაჯებს ჰყავს, მოელის ტურფა გამოშხნესო.“

აკაკის 150 წლისთავი აღიწინებება სწორედ იმ დღეებში, როცა

საქართველო პირველ ნაბიჯებს დგამს თავისუფლების გზაზე და სწორედ ეს არის პოეტის ანდერძის აღსრულება. მისი მარად უკვლევი სიხელის ცოცხალი ძეგლი. თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო სესიაზე გამოვიდნენ პროფესორები ელგუჯა ხინთიბიძე, სოლომონ ზუციშვილი, კორნელი დანელია, რევაზ მთეველაძე, ბეკან შარდაველი დოცენტი სალომე ყუბანეიშვილი, უფროსი მასწავლებელი ზაურ მეტეველი. სწავლულთა მოხსენებებში შეკრებილთ გადაუშალა აკაკის უმდიდრესი მემკვიდრე

ბის ფურცლები და კიდევ ერთხელ შეგვახედრა დიდი პოეტის შემოქმედებასთან. იმათთან, ვინც თავის დიდ თანამებრძოლთან ილია ქავჭავაძისთან ერთად დაუღალავად და ერთგულად ზიდა სამშობლოს, მშობელი ერის სამსახურის მიმე და საპატიო ტვირთი. ილიასა და აკაკის მიერ გაკვალული ზაა ქვემარტი და უღალატო, და ამ გზით მიმავალი თანამებრძოლნი უჩვეულად მოესწრებოან იმ მაღალი იდეალის გამარჯვებას, რომელსაც ერის დიდმა შვილებმა მთლიანად მიუძღვნეს თავიანთი უბაღლო ნიჭი, მდიდარი შემოქმედება და თვით სიცოცხლეც.

მერი ბაბრიძე, ხს „საქართველოს“ კორესპონდენტი.

თვალსაზრისი

გულახდილად უნდა ვთქვათ

გარკა ხანია სასწავლო წელი დაიწყო. აყრამულდა და გაღამებდა ქუჩები და სკოლები თვალახდულ ბიჭუნებთან და გოგონებთან. ისევ სიცოცხლითა და სიღამებით აივსო ჩვენს ირგვლივ გარემო და ამ დროს თითოეული ჩვენგანის ვალია გყოთ განსაკუთრებით ყურადღებანი ჩვენი მომავლის, ჩვენი ხვალისდელი საზოგადოების მშენებლისა და მისი სრულყოფილებისა მოქალაქის მიმართ. მათ მიმართ ურთიერთობაში არ არსებობს ჩემი და შენი. ჩემი ოთხი შევილიც ისეთივეა ჩემთვის, როგორც საქართველოს ასეული ათასობით მოსწავლე ახალგაზრდობა, რომლებიც დღეს-ადრინა სკოლისაკენ მიეშურებიან. ვაკვირდები მათ და მიხარია, თან ბევრი ფიქრი და დარდი აღმეძვრის ხოლმე, მაგრამ ეხლა მხოლოდ ერთ საქითს მინდა შევეხო. ესაა გარეგნობა ჩვენი შეილებსა, ჩვენი მოსწავლეებისა. როგორ გამოიყურებიან ისინი. სამწუხაროდ შეატყობ, რომ ბევრ მათგანს აკლია პარმონიული ფიზიკური განვითარება. ან ჩაბუტკუნებულა და ზანტად მიამოქვებს, ან სუსტი და გაფერხრთალებულია. ყოველივე ეს მის შედეგია, რომ ფიზიკური მოძრაობა აკლია ჩვენს ბავშვებს. შევიცოდოთ ისინი, მივცეთ მეტი თავისუფალი დრო ბავშვებს მოძრაობისათვის. „მოძრაობა, მხოლოდ მოძრაობაშია სიცოცხლე“.

მეორე საკითხია მათი ჩაცმადანხურვა. გულახდილად ვადაიროთ და ვთქვათ, ხომ ლამაზია სასკოლო ფორმაში ერთნაირად გამოწყობილი მოსწავლე ახალგაზრდობის ხილვა. რა თქმა უნდა ლამაზია. ჩემი აზრით პირველ რიგში ამით იქმნება შთაბეჭდილება მოსწავლეზე. სამწუხაროდ შეიგადავიგ ვრავლად არიან მოსწავლეები, რომლებიც მოსწავლის ფორმას ვერ იცუებენ. ამის მიზეზი სხვადასხვაა. ზოგიერთნი კი ამკამად ხმარებაში არსებული სასკოლო ფორმის მოძველებას ასახელებენ და არც თუ ისე უსაფუძვლოდ. მართლაც სასკოლო ფორმა ეს დიდი პრობლემაა, რომელიც დღეს ყველას ალღევებს, ბავშვსაც, მშობელსაც, მასწავლებელსაც და მთლიანად საზოგადოებასაც. განა ჩვენთვის, ყველასათვის სულერთია როგორი ფორმით, რა სახით, რა ესთეტიკური იერით დაღის სკოლაში მოსწავლე, ჩვენი ხვალისდელი მოქალაქე? მე პირადად სასკოლო ფორმის მომხრე და დამცველი ვარ. მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ყოველივე ეს არ ნიშნავს მთლიანად მომწონდეს დღეს ხმარებაში არსებული სასკოლო ფორმა, რადგან იგი ვერ პასუხობს დღევანდელი ბავშვის მოთხოვნებს, აკლია ელემენტურობა, პეწიანობა, უხეშია. არც

ფერით და არც მოდურობითაა მიმზიდველი. ფიზიკულტურის ფორმა მოსწავლის ფორმის შემადგენელი ნაწილია და აქ კი უარესად გვაქვს საქმე. უხარისხო ნაჭერი, ყოველგვარი ესთეტიკური ვაფორმების გარეშე, ერთი გარეცხვის შემდეგ ისე უშნოდ იწელება, რომ ფერსაც კარგავს და ფორმასაც. უფრო ცუდად გვაქვს საქმე მოსწავლეთა ჩანთებით უზრუნველყოფაში. აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია სხვადასხვა საფეხურის კლასების მოსწავლეთათვის, სხვადასხვა მოდისა და ტეგადობის ლამაზი, ესთეტიკური ჩანთები. დღეს არსებული სასკოლო ჩანთებს პირველ დღევე ძვრება სხეულურები, დანარჩენებზე ლაპარაკი ხომ შედგება. როგორ უნდა იყოს სასკოლო ფორმა? ამაზე პასუხი რთული და ძნელია. პრობლემა პრობლემად და სიტყვა რომ სიტყვად არ დარჩეს ჩემი აზრით სახალხო განათლების მუშაკებმა უნდა მიმართონ საქართველოს დიზაინერთა კავშირს. მათ მართებთ მოზარდებთან ერთად თანამედროვეობის გათვალისწინებით, სამივე საფეხურის კლასებისა და სეზონის გათვალისწინებით შექმნან მოსწავლეთა ფორმები. მ. შამონია, ურთის კოლმეურნეობის აგრონომი.

სახალხო დემოკრატია და ფიქრობა

უნდა გავხსნათ პარტიის სკრუპულოზობა

მუხრან „მუხრანლის“ №11-ში დაგეგმილია სკრუპულოზობის და სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო დემოკრატიის ტალღის გავრცელების ინიციატივა. მკითხველს ვთავაზობთ აქ ინიციატივის შემოკლებულ ვარიანტს:

ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს დაიშალა, ან ეს-ეს არის უნდა დაიშალოს სახელმწიფო ხელისუფლების შთელი სისტემა. ეს კი უკვე დასასრულია. უხელისუფლებობის ვაკუუმი ანარქია შეივსება უხეში ძალით, დიქტატორით. შესაძლოა დამყარდეს, ძალადობის ნებისმიერი ფორმა. ამისგან არავითარი შედეგით არაა, განსაკუთრებით იმ დემოკრატიული ფრთისთვის, რომელიც ავტო უკვე ორი წელია უმცაყრეს, უკომპრომისო ბრძოლაში ცდილობს დაამსხვრიოს ხელისუფლების ტოტალიტარული სისტემა და დამამკვიდროს მართელობის დემოკრატიული ფორმა. ამის გარეშე, ვერც ჩვენ და ვერც ჩვენი შეილები არ უნდა ველოდოთ უკეთეს მომავალს. გამოვდივარ რა საკუთარი დაკვირვებიდან და შექმნილი ვითარების ანალიზიდან, მე მივდივარ ასეთ დასკვნამდე: თუ კიდევ გარკვეული დროის მანძილზე დესტაბილიზაცია გარშემოვდება, პროვოკაციული ძალები შეეცდებიან ქვეყანაში შემოიღონ საგანგებო მდგომარეობა. წინასწარ უნდა ვივარაუდოთ აღნიშნული დონისიების ხაში შესაძლო ვარიანტი: ეკონომიკური რეფორმის დაწესების საბაზით დრაკონული ზომების გატა-

რება ბრევიდენტის ბრძანებულების მოულოდნელი გამოცემა ერთდროულად მთელი ქვეყნის მასშტაბით; სახელმწიფო გადატრიალება და სამხედრო-პარტიული დიქტატურის დამყარება. თუმცა, ვიმედოვნებ, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების, ანდა სახელმწიფო გადატრიალების შემთხვევაში დაიწყება სიეროთ პოლიტიკური გაფიცვა, ისეთ დროს, დარტყმის ქვეშ რომ არ მოკვდები, საქირთა უბრალოდ იმყოფებოდნენ სახლში და არ გამოვიდნენ სამუშაოზე მანამ, სანამ არ დაიშნებრება დიქტატურის დამყარების შედეგობა. სამხედრო გადატრიალების შემთხვევაში, გფიქრობ, უნდა მოეწოდოთ მსოფლიოს ყველა პროგრესულ სახელმწიფოებს სამხედრო ხუნტას გამოუტყალონ ბლოკადა, ზემოქმედების ეს ორი ბერკეტი —საშინაო და საგარეო უცილობლად გამოიწვევს ნებისმიერი ტოტალიტარული რეჟიმის დაცემას, თუკი მას თავს მოახვეწენ ხალხს. ალბათ იტყვიან, ხაღვანას ამ უქებთო? შესაძლოა. მაგრამ ყოველივე ეს რომ არ მოხდეს, ჩვენ უნდა შევეცვალოთ მმართველობის უმაღლესი სტრუქტურები და მივაღწიოთ ამ ახალ სტრუქტურებისადმი ხალხის ნდობას.

გ ა ხ ს ნ ე მ ბ ა

ახსოვხარ ყველას

მწარე სამართლემ: აღარ არისო თალიკო ძამშიძე, გააოგნა შენი კოლეგები, ანაანაგები, მეგობრები. იყო ცრემლი, ყვაილები, გაცილება... მას შემდეგ ცამეტჯერ დაათოვა შენს წმინდა საფლავს. ძალიან ახალგაზრდა განუდები წუთისოფელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტდამოავრებულს ადგილი ზუგდიდის სტატისტიკურ სამმართველოში მიიგინეს. შემდეგ ზუგდიდის სახელმწიფო ბანკში იმუშე. ბოლო რამდენიმე წელი კი ზუგდიდის სოფლის მეურნეობის სამმართველოში დაქავი. დაქორწინდი. გახდი დედა. ეკონომისტის ნათელი გონება სპირდებოდა სოფლის მეურნეობას, არ დავცალდა. დასამარდა ყველა სურვილი... რომ შეგეძლოს თვალის გახედა, გაიხარებდი: გაიხარებდი და მერე როგორ... შენს ერთგულ მეუღლეს შენი სიყვარული არავისთვის უწილადებია. ერთა ვაჟიც გაიზარდა, მიიღო სპეციალობა და დღეს თავადაა მამა... —მას ყოველდღე სინათლის შუქი შემოქონდაო კოლექტივში, — ასე გიგონებენ შენი კოლეგები, თანაც იმასაც დასძენენ, რომ იდეალური დედა იყო თალიკო ძამშიძე-ქარჩავასი. მეოცნებე, ფაქიზი სულის კეთილი მეგობარი ახსოვხარ ყველას... ბ. ბაშლაძე.

მ ს ს ა ი ნ ბ რ ა მ ს ა

ქალებს ვნებს სიკრახუნს შეკავება

სიბრახუნს შეკავებით ქალები თავიანთ ჯანმრთელობას ვნებენ. ასეთ დასკვნამდე მივიდა მიიგიანის უნივერსიტეტის მეკლდეარი მ. ქელიუსი. იგი 18 წლის განმავლობაში აკვირდებოდა სხვადასხვა ტემპერამენტისა და ასაკის 872 ქალს. მან აღმოაჩინა, რომ იმათ შორს, რომლებიც ტემპერატი ქალბატონებში იქცოდნენ, სიკვდილიანობის დონე სამჯერ მეტი იყო, ვიდრე ჩსუბის მოყვარულთა შორის. კაცებზე ეს წესი არ ვრცელდება. ქელიუსი ჭერ არ პაირებს იმის დაზუსტებას, თუ რით არის გამოწვეული ასეთი განსხვავება შეკავების გავლენისა მამაკაცებისა და ქალების ჯანმრთელობაზე. შესაძლოა, ეს დაკავშირებულია აღზრდასთან.

ქ. ს. „საქართველო“

კ ი დ ე ვ ე რ თ ი... გ ა ზ ე თ ი

ემს ამ ორი კუთხის ნათელ ისტორიულ წარსულს. აბტოლოფის მოყვარულთა ცნობისმოყვარეობას უთუოდ დააკმაყოფილებს ჯონდო ტუხაშვილის წერილი „რას გვპარდება ცხვარი?“, რომელშიც გადმოცემულია აღმოსავლეთის ნატურფილოსოფოსთა წარმოდგენები ციურ საიდუმლოებათა შესახებ.

„ხ მ ა ე რ ი ს ა“

ვის მართალი სიტყვის მიწოდება. გაზეთი იხსნება საქართველოს შურნალისტთა დამოუკიდებელი ახლციციის პრეზიდენტის ციკინო ბოჭორიშვილის წერილით, რომელშიც განსაზღვრულია გაზეთის მიმართულება. აქვეა ზურაბ წერეთლის მილოცვა დამოუკიდებელი გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლის გამო. მკითხველისათვის უთუოდ ხანტერესოა მარკა ლორთქიფანიის წერილი „კიდევ ერთხელ ოსებზე და აფხაზეზე“, სადაც გადმოცემულია საქართველოს ტერიტორიაზე ოსი და აფხაზი მოსახლეობის დამკვიდრების უტყუარი ისტორია, დასაბუთებულია ავტონომიური წარმონაქმნების უმართებულობა და რაც მთავარია სრულყოფილად გადმოგვი-

აქედან გამოდინარე 1991 წლის მოსალოდნელ გამოკლინებებზე. თუმც ზოგიერთ სადავო გამოწვევებს მოიცავს, მაინც საინტერესოდ იკითხება საზღვარგარეთის პრესიდან გადმობეჭდილი ი. გრიშკისა და მ. ბარკაშოვის წერილი „არჩევნები საქართველოში“, გაზეთის მეოთხე გვერდზე გკითხულობთ ინფორმაციას წმინდა ილია მართლის სახელობის ურნალისტთა საერთაშორისო პრემიის დაწესების შესახებ. გაზეთის რედაქტორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შურნალისტის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ჩვენი თანაქალაქელი ზურაბ ქობალია. ჩვენთან საუბარში ზ. ქობალიამ აღნიშნა, რომ გაზეთს

სცემს თავისუფალ შურნალისტთა ახლციაცია, რომელიც შეიქმნა თბილისის პიონერთა სახანლეში მოქმედ ახალგაზრდა შურნალისტთა კლუბ „ივერიელის“ ბაზზე. ახლციაცია გამოუშვებს აგრეთვე ყოველთვიურ გაზეთს „დამოუკიდებელი შურნალისტი“. ზ. ქობალიამ აგრეთვე აღნიშნა ისიც, რომ ახლციაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ექნება საკოორდინაციო სახეობა და იგი მხოლოდ საერთაშორისო შურნალისტურ ორგანიზაციას დაექვემდებარება. დამოუკიდებელი პრესა დემოკრატის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, და როგორც ზურაბ წერეთელი თავის მილოცვაში ამბობს, დაე იგი დამოუკიდებელი საქართველოს წინამორბედი გამხდარიყოს! მკითხველებს შევხსენებთ, რომ გაზეთი გამოდის ყოველკვირეულად, ხამშაბათობით, მისი საცალო ფასია 40 კაპიკი, ხოლო 11 თვით 17 მანეთი და 60 კაპიკი. თუ გსურთ ეწიაროთ თავისუფალი სიტყვის მადლს, გამოიწერეთ გაზეთი „ხმა ერისა“, ხელმოწერა დაიწყო და გრძელდება 15 იანვრამდე. მანამდე კი მისი შეტენა შეგიძლიათ „სოიუშენიკის“ ჭიხურებში.

# ედვინება თეატრის დღეს

ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართული თეატრის დღეს — 14 იანვარს უძველესი მორიგ პრემიერას: ლასლო დიურკოს ორმოკვდიან ღრამას „ელეგია“ რეჟისორ იგორ საბოს დადგმით.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მზია ტოგონიძე, მსახიობები მარინე ღარსელია, მერაბ კაკალია, ლეონა სულხანიშვილი, მალხაზ ჯაფარიძე.

თეატრი გიწვევთ გაბატონებით ახალ წარმოდგენაზე, წინა პრემიერისაგან იმ განსხვავებით, რომ ამჟამად არაფერს არ

ვუგზავნიტ მოსაწვევ ბარათებს, რომლებიც ბოლო წლებში მაცურებლის პრობლემასთან დაკავშირებით უხვად გაიცემოდა და ერთგვარი პრინციპულობის ნიშნით, გაუმართლებელი ხელგაშლილობით დაბლა სწევდა თეატრის პრესტიჟს, ამასთან ხელს უწყობდა მაცურებელთა პრივილეგიურ გამორჩევას, გამოცალკევებას თანამდებობრივი თუ თეატრთან დამოკიდებულების მდგომარეობის მიხედვით.

ამრიგად, ძვირფასო მეგობრებო, ნუ დაელოდებით მოსაწვევ ბარათებს. დღეიდან იგი ამოღებული იქნება პრაქტიკიდან თუნდაც ეკონომიკური, ფინანსური თვალსაზრისიდან გა-

მომდინარე, იშვიათი გამოჩალისის გარდა.

ნუთარინ იუქტებს, რომ ამით ჩვენი მაცურებლებს პატივს არ ვსცემთ ან უნდობლობას ვუცხადებთ, პირიქით გამოვხატავთ რა მათ მიმართ დიდ მოწიწებას, ვიძღვრებთ: ჭეშმარიტი ზუგდიდელი, მშობლიური ქალაქის კულტურის დამფასებელი, თეატრალი თუ თეატრის მოყვარული გულგრილი არ დაგვება ყოველი ახალი სპექტაკლის მიმართ და მის სანახავად (თუ აბონემენტი არა აქვს) ორმანეთიანი ბილეთის შეძენას არ დაიზარებს.

პრემიერაა 14. და 15 იანვარს. თეატრის სახელობის სახლი.

## სიგნალიზი ადგილობრივად

### როგორ უნდა ვიპოოთ ქირაოსნი უწყალო?

ჩვენს ქალაქში უამრავმა ქუჩამ აღიღვნა ძველი სახელი, ხოლო კიდევ უფრო მეტმა ახალი აირჩია. მათ შორისაა მთავარი ქუჩა, რომელიც ენგურქალაქ-კომპინატის მიკრორაიონს აერთებს ქალაქის ცენტრთან. კირივის ქუჩა გადაკეთდა — თამარ მეფის ქუჩად და ეს დროულად

ეცნობა მონახულებას, მაგრამ ქალაქის საბინაო კომუნალურ განყოფილებას დღემდე ვერ მოუგვარებია ტრაფარეტების გამოცვლის საკითხი.

ღრმა გამოცვალთ ტრაფარეტები და სიამოვნებით ვიაროთ თამარ მეფის ქუჩაზე.

ლ. ჯილინაძე.

## არ დაადგა საშველი

სოფელ ჩხორიაში ორი ფოსტალიონი ვერ ახერხებს ხელშეწყობა მომსახურებას. საჭიროა გამოიყოს დამატებით ერთი.

200 ნომრისანი ავტომატური

ტელეფონის სადგურის დამონტაჟებას არ დაადგა საშველი, უნდა დააჩქაროს კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ხელმძღვანელობაში — სადგურის დამონტაჟება.

## მინერალური და ბიზნესი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-საეკონომიკური ცენტრი სწავლობს ქ. ზუგდიდში ფილიალის — მინერალური და ბიზნესის ფაკულტეტის გახსნას საკითხს. ფაკულტეტზე პედაგოგიური კოლეჯივი ირრათადად მოწვეულა პროფესორთა ჩამოყალიბდება. სწავლა იქნება ფაზიანი. მიიღება ყველა კატეგორიის მსმენელი. გაიკეთა დადგენილი ფორმის მოწმობა. მსმენელები დაეუფლებიან თეორიულ ეკონომიკას, საბაზრო ურთიერთობათა საფუძვლებს, მცირე და აგრარულ წესს, თანამედროვე მენეჯმენტს, თვითმმართველობის პრობლემებს, მარკეტინგის საფუძვლებს, ეკონომიკურ მათემატიკურ მეთოდებს, ინფორმატიკას, უცხო ენას (სურვილის შესაბამისად) და სხვა დისციპლინებს.

მინერალური და ბიზნესის ფაკულტეტზე სწავლის მსურველებს, მათ მშობლებს, საწარმოების, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, კოორპორაციებს, მცირე საწარმოების, ფარმების ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, ინდივიდუალურ მეწარმეებს და სხვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ თავიანთი დამოკიდებულება გამოხატონ და განაცხადებენ შეიტანონ სმედისის ზუგდიდის განყოფილებაში.

ჩვენი მისამართია: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა №89, ქალაქის მეორე საბუხიკო სკოლისა და ვაქრობის სამმართველოს შენობა, მეოთხე ხართული, სმედისის ზუგდიდის განყოფილება: ტ. 2-88-24, 2-58-95.

## გზოლოდ ურთიერთობებით

მსურს ჩემი მოსაზრება გამოვთქვა ვაზეთ „ოდიშის“ 1990 წლის 27 დეკემბრისა და ამა წლის 8 იანვრის ნომრებში გამოქვეყნებული წერილების („ონ უორმაია ქ. ზუგდიდის სატელევიზიო გადაცემე სადგურში შექმნილი მდგომარეობის შესახებ“, „ამაგს ასე უნდა დაეხმება?“) გარშემო, რომლებიც ეხება ჩვენი ქალაქის სატელევიზიო გადაცემე სადგურში შექმნილ კონფლიქტს.

სპეციალობით ვარ კავშირგაბმულობის ინჟინერ-ეკონომისტი. გათხოვებამდე ვცხოვრობდი ნინოშვილის ქუჩაზე, ტელესად-

გურთან ახლოს. ვიცნობ შ. როგავას, როგორც კარგ სპეციალისტს, თავისი საქმის მოყვარე ადამიანს. სტუდენტობისას ხშირად შევდიოდი სადგურში. შ. როგავა შიგნით არავის არ უშვებდა, მაგრამ მე კი, როგორც რომ ვალ კავშირგაბმულობის სპეციალისტს, მრთავდა ნებას, გულდასმით მიხსნიდა სადგურის მუშაობის წესებს. მაშინ იქ ყველაფერი წესრიგში იყო, სათუთად მოვლილი დანადგარები ნორმალურად მუშაობდა, სუფთა იდეალური სისუფთავე... შ. როგავა ყოველ

წუთს იქ ტრიალებდა. დღეს კი, სამწუხაროდ, სადგურში საბირისპირო მდგომარეობაა. ვამოხავალი კი ჩემის აზრით ერთია: ტელესადგურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა შ. როგავას დაბრუნება სამუშაოზე და სადგურის უფროსი ი. ვვარ. მასთან ერთად ერთობლივი საქმიანობა, ყოველგვარი წყენის დაგვიწყება.

გ. მამაძარბა-შონია, ლეონიძის ქუჩის №22-ში მცხოვრებია.

რედაქტორის მოადგილე ზ. ცხინელია.

## მომავალს ურთიერთობებით

ნინო ნოღარის ასული ბენედიქტა და ბივი ბივის ძე თომასძე, რომლებიც ვკურნავთ შემდეგ პავადმურობებს: ჩიყვი, თავის ტვინში ს-სხლის გაუფრვა, ფსიქიური დაავადებანი, ეპილეფსია (შეძენილი), კრონიკული დამბლა, ახლო და შორისმხედველობა, თავის ტვინილები, დიბეტი, კუხის წყლული, კუჭის დაწვა, ფარისებულთა ჯირკვალი, უნებლიე შარდვა, ოსტეოქონდროზი (მარბლები), პროსტატატი, სერჩეულის გამრუდება, ბრონქიალური ასთმა, კრილობების შეხორცება, დამწვრობა, ღვიძლისა და ნაღდის ბუშტის დაავადებანი, გულის დაავადება, ბიპოლარიტი, უშვილობა, თმის ცვენა, სამწვერა ნერვის ანთება, რადიკულიტი, სოკოვანი დაავადებანი, ბიპერტონია (წნევა), პარის ღრუს, თირკმლების დაავადებები.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, ბაბარინის ქ. №8. მიღება ყოველდღე, დღის 11 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

შვილები: ლამარა, ნათელა, დინარა, ლიანა, ზაირა, ნანული, მთვარისა, სოსო, მირიანე ფიფიები. რძლები: მადონა ჯინორიძე, მარინა სოსელია, გულნაზი ცაცუა, მარო ბესელია, მარო ჩხეტი, სიმეები: რემიკო შამათაია, ბიძინა ჭალაღონია, გურამ ლუკავა, ნოდარ გაგუა. შვილიშვილები: ლალი, ველოდი კუკავები. ჭულიებია: ნელი, ვალერი. ვაჟა ვაგუები: ბელო, მაია, კახა შამათაეები, ევა, მამუკა ჭალაღონიები, ია, კობა ლუკავები. იონა, ლიკა, ირაკლი ვაგუები. შორენა, სოფიკო, გიორგი, ლაშა, ირაკლი, პაატა ფიფიები. ანა შოთა, დები: ბაბუცა, ჯახაია, ვალია ადამია. მახლოშვილები. მულოშვილები. დისშვილები. მისშვილები. მამიდაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან ვალია გიორგის ასული ჩქოტუა-ფიფიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 14. 15. 16 იანვარს. დაკრძალვა 17 იანვარს 4 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, მარქისის მეორე ნიხი 7.

მეუღლე ტანია. შვილები დარეჯანი, ვია, და ლასარა. მამა თორნიკე, სიდდერი ლიზა ლომაია, შვილიშვილი ევა ოდიშარია, მამილები: ლილია ექონია, ძამა მიშველია, ბიკოლები: ვარდისა მათია, ვარდო ქანთარია, ქსენია თოდუა, ცოლისძმა კაკო ლომაია, რძლები: ეთერ ქანთარია, ნონა ქანტარია. სიმეები: ბორის თოდუა, ჯანელი ოდიშარია, მისშვილები: ნანი, რიტა, მადონა, ნინო, მედეა, თეა, ევა, დისშვილები: იზა, ლარისა, ზაზა თოდუები. ბიძაშვილები, მამიდაშვილები: დედიაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან ნოდარ გუგუის ძე ქანთარას გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16 იანვარს. გამოსვენება 17 იანვარს 3 საათზე, ფოთი, სტალინის სანაპირო, სახლი 10, ბინა 57. დაკრძალვა ზუგდიდის სასაფლაოზე.

მეუღლე მერი. შვილები ლილია, ზაალი, დები: თინიკო, ნარგიზა, ძმები: ტარიელი, ნოდარი. სიმეები: ვალო ნაყებია, რჩო გახარია, ვალო ცაავა, ჯანიკო ბუკია, ხერია ლატარია, რძლები: ემა, თამაზა, ნელი, გემოშა. შვილიშვილები: ქეთო, ინვა. ფრიდონი ვახარაბი, შვილიშვილისშვილები: ნეიტანი, ტატო ბუკიები, ივა, ნიკა ლატარია, დისშვილები: თამარი, როზა, ბონია, ანზორი ნაყებიები, მზია, დარჯანი, ზურკო, თუყუავები, მისშვილები: ქეთო, მადონა, ჯონი, თენგიზი, მამუკა, იური, ცოლისდა ნორა. მამიდაშვილი ფუფოლი გაბუნია, ბიძაშვილები კუკუშა, მამია, ვაჟა ოჯახებით იუწყებიან

ლადიკო დიანოვის ძე ტორჩინაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 16 იანვარს. დაკრძალვა 17 იანვარს სოფ. კახათში. გამოსვენება 4 საათზე, გამარჯვების ქ. 5-დან.

ექიმი ნევროპათოლოგ-კოსმეოსთაძე (ბინაში სანიტორიები ტოლოგი ნინა ვლადიმერის დაცულია საფინანსო განყოფილების მიერ დაბეგრულია).

ასული ოპრასი (კვიციანი) ექიმი კურნავს თირკმლებს, მთისაზე პაციენტებს ღებულობს ღვიძლს, ადერგიას, ფსორიაზს, შემდეგი მისამართით: პლენის სხვადასხვა ხასიათის ტიპის ხანოვის ქუჩა №24, ვილებს, კურნავს და კონსულტაციას ატარებს სახის კანის პრობლემებში (ორშაბათის გარდა) დღის 9 საათიდან 14 დაავადებებზე.

შვილები შურა, ვალიკო ქაროსანიძეები, მამა პლატონი, რძლები ქეთო, რუსიკო, ნარგიზა, სიმეები რამინ ლოგუა, ვამეხ ჯოჭუა, შვილიშვილები დოდო, ფრიდონი მალანეები, გელა, ვალერი ქაროსანიძეები, მისშვილები გულნარა, გენო ჯინჯოლაეები, მახლოშვილები. მულოშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ლიზა ევგენის ასული ლინჯოლავა-ქაროსანიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 12 იანვარს. დაკრძალვა 13 იანვარს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, ოდიშის 69-დან.

ინგირის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი იუწყება ომსარ კოსტას ძე თოდუას გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ოლეკ კუხალაშვილი, შვილები: ცისანა, თამაზი, დები: ლენა, ჟუნა, ნიურა, ძმები: ხუხუტი, უჩუში, ვაჟა, რძლები დალი ჭიჭონია, სვეტა ქორთუშვილი, ზაზა, ნათელა, ციკლა, ნაზო. სიმეები ლემარე კვარაცხელია, ჭიჭიკო ხასაია, ლულუნი პაპასქირია, ყორევი შელია. შვილიშვილები: ლევანი, ლელა, მამა კვარაცხელიები, რუსიკო, ელა, ვაჟა გოგობიები, ცოლისძმა ტრიფონი, ცოლისდა გულნარა, მისშვილები, დისშვილები, ცოლისმისშვილები, ცოლისდისშვილები იუწყებიან ბაბუში გერასიმეს ძე გოგობას გარდაცვალებას. დაკრძალვა 17 იანვარს. გამოსვენება ზუგდიდი, ენგელსის 77-დან.

ილია (ილუშა) აკაიის ძე ნარმანიას გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შვილი ფრეკო, რძალი ნათელა აბლოთია. შვილიშვილები ხეჩია, ზაზა, მისშვილები ციკლა, მელისი, აშუა ჩარგაზიები, დისშვილები: თალიკო, ლუბა, მახლო სარაპიონი, რძალი თამარა, მახლოშვილები: ლულა, აუუქუნა, ნანული, ლიანა, ინდიკო, ვახტანგი, კარლო, გურამი კაკულები იუწყებიან

ქსენია მარკოვის ასული ჩარგაზია-კაკულის გარდაცვალებას. პანაშვიდი 12 იანვარს. დაკრძალვა 13 იანვარს. გამოსვენება ზუგდიდი, ლინინგრაის ქ. 37-დან.

ინგირის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტი რბმა მწუხარებით იუწყება პარტიის, შრომისა და ომის ვეტერანის შალვა ეგნატის ძე ქარჩავას გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.